ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 33-96

27 დეკემბერი

"___"_____ 2016 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-91 დადგენილებაში ცვლილების შეტანისშესახებ

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-91დადგენილებაში (ვებგვერდიwww.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 05.01.2015, სარეგისტრაციო კოდი 210070000.35.101.016084) დადგენილების: პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შემოღებულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და დადგინდეს მისი განაკვეთები სახეობების მიხედვით შემდეგი ოდენობით:

„ ა) თითოეულ სამორინეს მაგიდაზე – 40 000 ლარი კვარტალში;

ბ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%;

გ) სისტემურ - ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე – 300 000 ლარი კვარტალში;

დ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე - 20 000 ლარი კვარტალში;

ე) თითოეულ სათამაშო აპარატზე – 4 000 ლარი კვარტალში;

ვ) თითოეულ კლუბის მაგიდაზე – 14 000 ლარი კვარტალში."

2. მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 პუნქტები:

„2^1. 2017 წლის პირველი კვარტლის სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშანი გაიცემა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის 201რ წლის მე-4 კვარტალში მოქმედი განაკვეთის მიხედვით გადახდის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

$2.^2$ 2017 წლის პირველ კვარტალში დადგენილ მოსაკრებლის ოდენობასა და 2016 წლის მე-4 კვარტალში დადგენილ მოსაკრებლის ოდენობას შორის სხვაობის თანხა გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს 2017 წლის 31 მარტისა."

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითიბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **30** დეკემბრის **№20-91** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის)მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

აღნიშნული პროექტის მიღების მიზეზია „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2016 წლის 16 დეკემბრის დეკემბრის N99-Iს საქართველოს კანონის შესაბამისი აქტების შეუფერხებელი მიღების აუცილებლობა და სათამაშო ბიზნესის სფეროში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობის ოპტიმიზაციის აუცილებლობა და ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში ადგილობრივი მოსაკრებლის სახით მისაღებიშემოსავლის უზრუნველყოფა.წარმოდგენილი პროექტით იზრდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთები, (კვარტალში, ლარებში), კერძოდ

N	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახეები	კანონმდებლობით მოქმედი განაკვეთები	თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი, მოქმედი განაკვეთები	ახალი საკანონმდებლო ცვლილებით დადგენილი	ჩვენს მიერ მომზადებული პროექტით
1	თითოეულ სამორინეს მაგიდაზე	15 000 - 30 000	30 000	20 000-40 000	40 000
2.	თიდოეულ სათამაშო აპარატზე	1 500 – 3 000	3 000	2 000 – 4 000	4 000
3.	სისტემურ-ელექტრონული ფო რმით მოწყობილ თამაშობაზე	30 000 – 60 000	60 000	250000– 300 000	300 000
4	აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართ ვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებულ თითოე ულ სალაროზე	1000 -15 000	15 000	1500 – 20 000	20 000
5	თითოეულ კლუბის მაგიდაზე	3 000 -10 000	10 000	4 000 -14 000	14 000

ბ) პროექტისსაფინანსო-ეკონომიკურიგაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

პროექტის შესაბამისად, მოსალოდნელია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა დაახლოებით 13,6 მლნ. ლარით.

პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) პროექტისავტორი (ავტორები): ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტისწარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისმერი.